ეკონომიკური ბირთვის თეორია, როგორც ზრდის პოლუსების კონცეფციის განვითარება და განზოგადება

ევგენი ბარათაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, სტუ-ს სრული პროფესორი
ნაირა გალახვარიძე
ეკონომიკის დოქტორი.
სტუ-ს ასოც. პროფესორი

სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული „ზრდის პოლუსის“ თეორიული კონცეფცია. მისი არსი შემდეგშია: მსგავსად იმისა, რომ ადამიანის ორგანიზმში არსებობს მტკივნეული წერტილები, რომლებიც განსაზღვრავს ჯანმრთელობის მდგომარეობას, ასევე ეკონომიკურ ორგანიზმშიც არის ელემენტები (წარმოებები, დარგების ცალკეული სახეები, რეგიონები), რომლებზეც ზემოქმედება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი სხვა ელემენტების განვითარებაზე.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ზოგი რეგიონული გამოკვლევა დაფუძნებულია „ზრდის პოლუსების კონცეფციაზე”. ამ კონცეფციის ფუძემდებელია ფრანგი ეკონომისტი ფ. პერრუ და მისი მოწაფე ჟ. ბუდვილი.

ფ. პერრუ დასცილდა ჰომოგენური რეგიონების თეორიულ განხილვას. მისი მთავარი იდეა იყო ის, რომ რეგიონებს აქვთ თავისი ცენტრი, თავისი განვითარების პოლუსები; თავს იყრის რა დაწინაურებული დარგის ირგვლივ სიახლეთა განხორციელება, ახალი საწარმოები ქმნიან კონცენტრაციას. ეს კი თავისკენ იზიდავს სხვა დარგებში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას და ქმნის განვითარების პოლუსს.

ჟ. ბუდვილის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ეს თეორია გადაიტანა კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში, კონკრეტულ რეგიონში, რათა რეგიონული ახსნა-განმარტება მიეცა ზრდის პოლუსთა იდეისათვის. მან შემოიტანა სივრცის ცნება (გაგება) და გამოჰყო სივრცეთა სახეები:

1. ჰომოგენური;
2. პოლარიზებული;
3. გეგმური;

აგრეთვე, სივრცეთა სახეების შესაბამისად მან გამოყო რეგიონების სახეები: ჰომოგენური, პოლარიზებული, გეგმური. ბუდვილმა სივრცე და ფუნქცია გააერთიანა ერთ - სივრცის პოლარულობის - ცნებაში.

ჟ. ბუდვილის აზრით, არა ყველა რეგიონული ცენტრია ზრდის პოლუსი, არამედ მხოლოდ ის, რომელშიც არის ისეთი დარგები, რომლებიც ბიძგს აძლევენ მთელი რეგიონული სისტემის განვითარებას, რომ ზრდის რეგიონული პოლუსი წარმოადგენს განვითარებადი და გაფართოებადი დარგების ნაკრებს, რომელსაც შეუძლია თავისი გავლენის, მთელ ზონაში გამოიწვიოს წარმოების შემდგომი ზრდა.

ზრდის პოლუსები - ეს არის აქტიურობის გეოგრაფიული აგლომერაციები, ეს არის ქალაქები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი დარგები.[1]

რა თქმა უნდა, მსოფლიოში ყველაფერი ურთიერთდაკავშირშია, მაგრამ ელემენტების ურთიერთქმედების ხარისხი შესამჩნევად ვარირებს, კერძოდ, შესაძლებელია გამოვყოთ არსებითი და არაარსებითი ურთიერთქმედება (თუმცა, ბუნებრივია, ურთიერთქმედების „არსებითობის“ ზომა აგრეთვე საკმაოდ ძლიერ განსხვავდება).

ასეთი სახის ზრდის პოლუსთა ერთობლიობას შეიძლება ვუწოდოთ ეკონომიკური ბირთვი. თუმცა ჩვენ მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური ბირთვის კონცეფცია მთლიანად არ უნდა გავაიგივოთ პოლუსების თეორიასთან, ზრდის წერტილებთან, ვინაიდან ბირთვში ზრდის პოლუსის გარდა, საჭიროა ჩავრთოთ აგრეთვე საბაზისო ელემენტები, რომლებიც შეადგენს ჩონჩხს (ბირთვს) – სოციალურ-ეკონომიკური სისტემის საფუძველს. თუმცა ასეთი სახის საბაზისო ელ-

[1] ეკონომიკის სივრცობრივი ორგანიზაციის „ზრდის პოლუსების თეორია”, რომელიც აძლიერებს ვ. კრისტალერის „ცენტრალური ადგილის თეორიას, ბევრად უახლოვდება ნ. კოლოსოვსკის „საწარმოო - ტერიტორიული კომპლექსის თეორიას” და მის მიერ ჩამოყალიბებულ „ენერგოსაწარმოო ციკლებს”.

ემენტები ხშირად საკმაოდ ინერციულია თავის განვითარებაში, მათი ჩართვა ეკონომიკურ ბირთვში, ჩვენი აზრით, გამართლებულია, ვინაიდან მათი ურთიერთკავშირი ზრდის პოლუსებთან უზრუნველყოფს ეკონომიკური სისტემის მდგრად ფუნქციონირებასა და განვითარებას მთლიანობაში. ამასთან დაკავშირებით საჭირო დავამატოთ, რომ ცნება „ეკონომიკური სისტემის ბირთვი“ საკმაოდ დიდი ხანია შემოღებული იყო სამეცნიერო ბრუნვაში, თუმცა მასში სულ სხვა აზრი იყო ნაგულისხმევი.

როგორც წესი, ეს ცნება გამოიყენებოდა საბაზრო სისტემის წონასწორობის საკითხების განხილვისას და აღინიშნებოდა, როგორც ბირთვი[1]. ვინაიდან ჩვენ მიერ ცნება „ეკონომიკის ბირთვი“ განიხილება სხვა გაგებით, საჭირო არაა სავსებით დავუპირისპიროთ ორი მიდგომა, რადგან ღირებულებითი წონასწორობის საკითხები ზრდის პოლუსის კონცეფციის საფუძველზე, გარკვეულწილად დაკავშირებულია ეკონომიკის განვითარების პრობლემებთან. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ბუნებაში ყველა მცენარეულ და ცხოველურ უჯრედს აქვს ბირთვი, რომელიც გარშემორტყმულია ბლანტი სითხით, ციტოპლაზმით, რომელშიც უფრო მცირე სტრუქტურები, ორგანელები მოძრაობენ, რომელთაც სხვადასხვა ფუნქცია აქვთ. ამდენად სრულიად მართლზომიერი იქნება თუ ვიტყვით რომ „ბირთვი” რთული, მრავალმხრივი ცნებაა, რომლის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა კონტექსტში. ჩვენი აზრით, სამეცნიერო პრაქტიკაში ცნობილია მსგავსი სახის არაერთი მაგალითი, თუმცა, რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ თავი ავარიდოთ გაიგივების ლოგიკურ შეცდომას, ზრდის პოლუსების ერთობლიობის ცნების აღსანიშნად სავსებით შესაძლებელია წარმოვადგინოთ სხვა სახელწოდებაც, მაგალითად, „ეკონომიკური საწყისი“.

ეკონომიკურ ბირთვში შემდგომ იგულისხმება ზრდის პოლუსების და საბაზისო ელემენტების მთელი ერთობლიობა. სხვათა შორის, მსგავსი მიდგომა არსებობს რეგიონალისტიკაშიც. ამ ცნების განმარტებისთვის სიტყვათშეთანხმება „ეკონომიკური ბირთვის“ გამოყენება შემთხვევითი არაა. საქმე ისაა, რომ ზრდის პოლუსების ერთობლიობას და საბაზისო ელემენტებს საკვანძო მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის განვითარებაში. ეს განსაკუთრებით სამართლიანია გარდამავალი სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა და მდგომარეობების მიმართ, ე.ი. იმ პირობებში, როცა ეკონომიკურ სისტემაში ერთი შედარებით მდგრადი მდგომარეობა გადადის მეორეში. ამას მოწმობს მსოფლიო გამოცდილება.

მაგალითად იაპონიასა და სამხრეთ კორეაში – ქვეყნებში, სადაც დიდ წარმატებას მიაღწიეს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, მათი ეკონომიკის რადიკალური რეფორმირების პერიოდში აქცენტი კეთდებოდა რამდენიმე (ხუთი, ექვსი) საკვანძო პოზიციის განვითარებაზე. შემდეგ ამოქმედდებოდა ხოლმე მულტიპლიკაციური ეფექტი და ეკონომიკა იწყებდა სწრაფად, ეფექტიანად და ჰარმონიულად განვითარებას (სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ დარგების განვითარება მნიშვნელოვნად მოქმედებდა ეროვნულ-სამეურნეო კომპლექსის სხვა დარგების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე). ეს დარგები თითქოს შეადგენდა ეკონომიკური სისტემის გარდაქმნის ბირთვს.

ეკონომიკური ბირთვი შეიძლება მოიცავდეს სულ ერთ-ორ დარგს. კლასიკური მაგალითი – საუდის არაბეთი, სადაც ნავთობის მრეწველობის განვითარებამ ისე იმოქმედა მთელი ეროვნულ-სამეურნეო კომპლექსის ჩამოყალიბებაზე, რომ სულ რაღაც 15 წელიწადში მსოფლიოში ამ ქვეყნის ეკონომიკა ჩამორჩენილიდან გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულად.

ეკონომიკური ბირთვის თეორიის გამოყენება განსაკუთრებით აქტუალურია გარდამავალი ეკონომიკის ან სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის განვითარების კონცეფციის შემუშავებისას, თუმცა განვითარებულ ქვეყნებში ამ თეორიის დებულებათა გამოყენებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ის დაკავშირებულია იმასთან, რომ მათშიც რესურსები და შესაძლებლობები ამოუწურავი როდია, შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივათა შემუშავებისას აუცილებელია გამოვავლინოთ პრიორიტეტები და მნიშვნელობის მიხედვით დავახარისხოთ პრობლემები. ამასთან ამ ქვეყნების ეკონომიკაშიც არის არასაკმარისად განვითარებული ელემენტები, მაგალითად, დეპრესიული და სტაგნაციური რეგიონები, ეკონომიკის სუსტად განვითარებული დარგები და სექტორები, არაეფექტიანი საწარმოები.

განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკური ბირთვის გამოყენება სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის შემუშავებისას სუსტად განვითარებულ ქვეყნებსა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც რესურსები და შესაძლებლობები, როგორც წესი, ბევრად მცირეა, ხოლო გადაუწყვეტელი პრობლემები ბევრად მეტი, ვიდრე განვითარებულებში. ამგვარად, სწორედ ესაა ეკონომიკური ბირთვის ფორმირების პირველმიზეზი. ამასთან ცხადია, რომ არცთუ შორეულ პერსპექტივაში ბუნებრივი

რესურსების შეზღუდულობა მსოფლიოში გაიზრდება, ხოლო ეკონომიკური ბირთვის თეორიის დებულებათა გამოყენება სამეურნეო პრაქტიკაში უფრო აქტუალური გახდება[2].

როდესაც ვსაუბრობთ ეკონომიკურ ბირთვზე, საჭირო არაა მისი გაიგივება მხოლოდ დარგებთან და წარმოების სახეებთან. მასში შეიძლება შედიოდეს ცალკეული რეგიონებიც და ცალკეული საწარმოებიც. სავსებით მართებულია დავსვათ საკითხი ეკონომიკური ბირთვის შექმნაზე ცალკეულ დარგებშიც და რეგიონებშიც (ჩვენი მოსაზრებით, ეს საკმაოდ აქტუალურია, მაგალითად დეპრესიული და სტაგნაციური რეგიონებისთვის). უფრო მეტიც, თვით ცალკეული საწარმოს ეკონომიკური განვითარების პრობლემების განხილვისას შეიძლება გამოვიყენოთ ეკონომიკური ბირთვის კონცეფცია მისი ცალკეული საამქროებისთვის. ამგვარად, ეკონომიკური ბირთვის ფორმირების პრობლემა შეიძლება და საჭიროა განვიხილოთ სხვადასხვა რაკურსით და სხვადასხვა დონეზე – ეროვნული-სამეურნეო, დარგობრივ, რეგიონულსა და ლოკალურზე.

ეკონომიკური ბირთვის ელემენტთა შემადგენლობის პრობლემა უშუალოდაა დაკავშირებული კრიტერიუმების არჩევასთან, ასევე მისთვის ამა თუ იმ სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურისა და წარმონაქმნის მიკუთვნებასთან. როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, აკუმულატორების, ზრდის პოლუსების ფუნქციებს ხშირად ასრულებდა დარგები და წარმოებების სახეები რენტაბელურობის მაღალი დონით და კაპიტალის ბრუნვის მაღალი სიჩქარით. ასე იყო ინგლისში, თავდაპირველად კაპიტალის დაგროვების პერიოდში, როცა მსუბუქი მრეწველობა გახდა ზრდის პოლუსი და მისმა განვითარებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმ დროის მთელი ინგლისური ეკონომიკის ჩამოყალიბების მაღალი ტემპი.

თუმცაღა ზრდის პოლუსები ყოველთვის როდი ხდება მაღალრენტაბელური საწარმოები და დარგები კაპიტალის ბრუნვის მაღალი სიჩქარით. ზოგჯერ ზრდის პოლუსის ფუნქციებს ასრულებს დარგები რენტაბელურობის შედარებით დაბალი დონით, ამასთან ზრდის პოლუსის ფუნქციის შემსრულებელი დარგიც ინტენსიურად ყოველთვის არ ვითარდება. არსებული ზრდის პოლუსის ეკონომიკური ელემენტის (ე.ი. დარგი, რეგიონი, საწარმო) მთავარი ფუნქციაა – ხელი შეუწყოს ეროვნულ-სამეურნეო კომპლექსის დანარჩენი ელემენტების ინტენსიურ განვითარებას, მაშინ, როცა თავად ელემენტი შეიძლება იყოს სტაგნაციურ მდგომარეობაში. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, შეუძლია თუ არა ამა თუ იმ ელემენტს შეასრულოს ზრდის პოლუსის ფუნქცია, აუცილებელია გავითვალისწინოთ სხვა ეკონომიკურ ელემენტებზე მისი ზემოქმედების შედეგთა მთელი ერთობლიობა.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია მაკროეკონომიკური ანალიზი, რომლის თანახმადაც ეროვნული მეურნეობა, წარმოადგენს ურთიერთკავშირის სისტემას 4 სექტორსა და 4 ბაზარს შორის. თუმცა ჩვეულებრივ მასში გამოყოფენ ოთხ ბაზარს – დოვლათს, ფულს, შრომას, ფასიან ქაღალდებს. კვლევის დროს თითოეული მათგანი შეიძლება დეზაგრეგირებული[3] იყოს[4].

მაგალითად, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, თავის მხრივ, შეიძლება დავყოთ სახელმწიფო ობლიგაციების ბაზრად და კომერციული კომპანიების აქციების ბაზრად. მიუხედავად ამ კლასიკური მაკროეკონომიკური მოდელის გარკვეული სქემატიზმისა, მისი გამოყენება საშუალებას იძლევა განვახორციელოთ მმართველობითი გადაწყვეტილებების რეალიზაციის შედეგთა კომპლექსური ანალიზი.

ცხადია, მაკროეკონომიკური ანალიზის შესაბამისად, ეკონომიკური ბირთვის ელემენტების არჩევის კრიტერიუმებს კაპიტალის ბრუნვის რენტაბელურობის სიჩქარის დონესთან ერთად საჭიროა მივაკუთვნოთ სხვებიც, მათ შორის არაღირებულებითი პარამეტრებიც.

მაგალითად, ზრდის პოლუსი შეიძლება იყოს კაპიტალის ბრუნვის რენტაბელურობის დაბალი დონისა და შედარებით დაბალი სიჩქარის ის დარგი, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმების მაღალ დონეს ან შეკვეთების რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას სხვა დარგებისთვის. მაგალითად, აშშ-ში დიდი დეპრესიის დროს ქვეყნის მთავრობას მნიშვნელოვანი ძალისხმევა დასჭირდა საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, უპირველესად გზების მშენებლობაზე (ეგრეთ წოდებული საზოგადოებრივი სამუშაო). ამან მთავრობას საშუალება მისცა, სამუშაოთი უზრუნველეყო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რითაც გაზარდა ერთობლივი სამომხმარებლო მოთხოვნა და ბიძგი

[2] Теориа экономического районирования м. ,,мыслъ,, 1969. ამასთანავე საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნულ თეორიასთან ახლოსაა გამოჩენილი ქართველი ეკონომ-გეოგრაფის, რეგიონალისტის, გიორგი გველესიანის მიერ წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკური დარაიონების კონცეფციაც.

[3] დეზაგრირებული-დეზ. ნიშნავს, რაიმეს შემცირებას. აგრერირება - (ლათ. შეერთება) მაჩვენებლების ერთნაიროდენობათა შეჯამება ზოგადი, შეფარდებითი ოდენობის მაჩვენებლის მისაღებად.

[4] Гребенщиков П.И. Макроэкономика. СПБ. 1992.

მისცა სხვა დარგების განვითარებას. ზრდის პოლუსი შეიძლება იყოს ეკონომიკის სექტორიც და სამეურნეო საწარმოც. ზრდის პოლუსის ფუნქციებს, მაგალითად, ასრულებს ეკონომიკის რეგულირების კეინსური მეთოდებიც, კერძოდ, სახელმწიფო შეკვეთების გაზრდა დარგებისთვის, რომელთა განვითარება გავლენას ახდენს ეკონომიკის სხვა სეგმენტების ფუნქციონირებაზე.

ამგვარად, ეკონომიკურ ბირთვს მიეკუთვნება ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სხვა ელემენტების რიცხვის მნიშვნელოვან ზრდას. ეკონომიკური ბირთვის ელემენტების შერჩევა ხორციელდება მრავალი პარამეტრის საფუძველზე (როგორც ღირებულებითი, ისე არაღირებულებითი), ესენია – მოგებიანობის და რენტაბელურობის დონე, კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე, მოსახლეობის დასაქმების ზრდა, ერთობლივი მოთხოვნების ზრდა და სხვა. როდესაც განვსაზღვრავთ ეკონომიკური ბირთვის ელემენტების შერჩევის კრიტერიუმებს, საჭიროა გავითვალისწინოთ არა მარტო ხარისხობრივი ასპექტი (ე.ი. ეკონომიკური პარამეტრ-კრიტერიუმების შერჩევა), არამედ რაოდენობრივიც. ეს ნიშნავს, რომ შერჩეული პარამეტრ-კრიტერიუმებისთვის აუცილებელია დავადგინოთ ზღვრული, კრიტიკული მნიშვნელობა, რომლის დროსაც ეკონომიკურ ბირთვში მიზანშეწონილია ჩავრთოთ ესა თუ ის ელემენტები, რომლებიც გავლენას მოახდენს ეკონომიკის სხვა რგოლებზე.

ამასთან მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ შემდეგი. თუკი გავითვალისწინებთ არა მარტო საწარმოო, არამედ ეკოლოგიურ ფაქტორების, მათ შორის, მაგალითად, დანახარჯებს ბუნებისდამცავი ღონისძიებების რეალიზაციაზე, მაშინ სწორი იქნება, თუ ვისაუბრებთ არა ეკონომიკურ, არამედ ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ბირთვზე. მეტიც, ჩვენი შეხედულებით, ბირთვი შეიძლება გამოვყოთ არა მარტო ეკოლოგო-ეკონომიკურ სისტემაში, არამედ ეკოლოგიურშიც, ისეთში, როგორიცაა, მაგალითად, ბიოგეოცენოზი. ასეთ შემთხვევაში აზრი აქვს ვისაუბროთ უკვე *ეკოლოგიურ ბირთვზე*. ზოგადად მიგვაჩნია, რომ ნებისმიერ საკმაოდ რთულ სისტემაში (როგორც ბუნებრივი, ისე საზოგადოებრივი ხასიათის) შეიძლება გამოვყოთ ამ სისტემის ბირთვი, რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ საბაზისო და მთელი სისტემის ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანი ელემენტების ერთობლიობა. ჯერჯერობით ეს დებულება მიგვაჩნია ჰიპოთეტურად, თუმცა მრავალი ფაქტი ამტკიცებს მის ჭეშმარიტებას (მაგალითად, ბირთვის არსებობა ატომში, დედამიწის ბირთვი და სხვ.).

ეკონომიკური ბირთვის ელემენტის არჩევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის როლს კვალავწარმოებით პროცესში. მაგალითად, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მნიშვნელოვანია იმ მეცნიერებატევადი დარგების და წარმოებების განვითარება, რომელთა როლი ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობის ზრდასთან დაკავშირებით მოიმატებს.

ეკონომიკური ბირთვის (მათ შორის ეკოლოგო-ეკონომიკურისაც) ელემენტების შერჩევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერუმების განსაზღვრის უფრო დეტალური ანალიზი მომავალი კვლევის თემაა. ცხადია, ამ პრობლემის გადაწყვეტისას საჭიროა გავითვალისწინოთ დარგობრივი და რეგიონული სპეციფიკა, ვინაიდან რენტაბელურობის დაბალი ზღვარი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ბირთვის ელემენტების შერჩევისას, მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული დარგის და რეგიონის სპეციფიკაზე. აუცილებელია გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბირთვის ჩამოყალიბების პრობლემის გადაჭრისას საჭიროა გამოვყოთ ელემენტების სხვადასხვა ჯგუფი, ვინაიდან შერჩევის კრიტერიუმები შეიძლება იყოს სხვადასხვა. აშკარაა, რომ ბირთვის არა ყველა ელემენტისთვის შერჩევის კრიტერიუმი შეიძლება იყოს რენტაბელურობის ნორმის ან დასაქმების უზრუნველყოფის მაჩვენებლები, ამიტომ მთელი შესაძლო ამონარჩევი მიზანშეწონილია დავყოთ ჯგუფებად გამოყენებული კრიტერიუმების ერთტიპურობის პრინციპით.

საჭიროა აგრეთვე მხედველობაში მივიღოთ, რომ ეკონომიკური გარემოს მდგომარეობას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ეკონომიკური ელემენტების შერჩევის კრიტერიუმებზე. მაგალითად, გარდამავალ გარემოში გაურკვევლობის და ცვალებადობის დონე, როგორც წესი, მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მდგრადში, რაც ხშირად ვლინდება ინფლაციის მაღალ ტემპში, ამიტომ გარდამავალ პერიოდსა და საკმაოდ მდგრად გარემოში ბირთვიá ელემენტების შერჩევის ერთი და იგივე კრიტერიუმები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს. მაგალითად, მაღალი ინფლაციის დროს რენტაბელურობის ან მოგებიანობის დონე მნიშვნელოვნად იქნება განსხვავებული თავისი ანალოგისგან დაბალი ინფლაციისას (თუკი გადავიყვანთ ნატურალურ ეკვივალენტში). შესაბამისად, განსხვავებული იქნება ამ მაჩვენებლის ზღვრული მნიშვნელობა. აქედან დასკვნა: ჩვენი აზრით, გარდამავალ გარემოში უფრო მნიშვნელოვანია იმ ნატურალური

მაჩვენებლების როლი, რომელთაც იყენებენ ეკონომიკურ ბირთვში ელემენტების შერჩევის კრიტერიუმების სახით.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ეკონომიკური ბირთვის თეორიის დებულებები თუნდაც ნაწილობრივ შეიძლება გამოიყენებოდეს არა მარტო მთლიანად მეურნეობაში, არამედ ცალკეულ რეგიონებში, ცალკეულ დარგებში, ცალკეულ საწარმოებში. ამასთან, ცალკეული რეგიონის ან დარგის ეკონომიკური ბირთვის ელემენტების შერჩევისას შეიძლება გამოვიყენოთ იგივე მაკროეკონომიკური მოდელი, რომელიც მოდიფიცირებულია რეგონული ან დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით (კერძოდ, მასში უნდა დავუმატოთ ურთიერთკავშირი სხვა რეგიონებთან და დარგებთან). ამგვარად, ეკონომიკური ბირთვის ფორმირების პრობლემა შეიძლება განვიხილოთ იერარქიული სისტემის სხვადასხვა რაკურსითა და სხვადასხვა დონით. სავსებით შესაძლებელია ისეთი სიტუაცია, როცა გარკვეული რეგიონი შედის მთელი სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის ეკონომიკურ ბირთვში და იმავდროულად სხვა, უფრო მასშტაბური რეგიონის ბირთვში, ან როცა დარგი შედის ამა თუ იმ რეგიონის ბირთვში, მაგრამ არა მთელი სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის და პირიქით. ამასთან, ცხადია, რომ ეკონომიკური ბირთვის სხვადასხვა ასპექტი და დონე გადაიკვეთება, მაგალითად, რეგიონული და დარგობრივი.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ეკონომიკური ბირთვის ჩამოყალიბების პრობლემის კიდევ ერთი ასპექტი – მრავალვარიანტულობა. მისი ელემენტური შემადგენლობა ერთადერთი არაა – რაც უფრო მდიდარია ქვეყანა ბუნებრივი რესურსებით, მით მაღალია მისი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი და ეკონომიკური განვითარების დონე, შესაბამისად, მეტია ეკონომიკური ბირთვის ფორმირების ვარიანტებიც. ამასთან დაკავშირებით, ეკონომიკური ბირთვის ელემენტური შემადგენლობის ოპტიმალური ვარიანტის არჩევის პრობლემა ძალზე აქტუალურია. დიდი მნიშვნელობა აქვს პირობების შექმნას იმისთვის, რომ ეკონომიკური ბირთვი „ამუშავდეს“. მისი „ამოქმედების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა – როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი სახელმწიფო რეგულირება და სტიმულირება. როგორც წესი, პრიორიტეტული დარგების სტიმულირების სახელმწიფო მეთოდები× უზრუნველყოფდა იმ ეკონომიკური ბირთვის „შრომისუნარიანობისა“, რომელშიც შედიოდა ეს დარგები. (ამის შემდეგ) საკმაოდ ეფექტიანად და ჰარმონიულად იწყებდა ფუნქციონირებასა და განვითარებას მთელი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, რასაც მოწმობს იაპონური, სამხრეთკორეული და სხვ.

რაც შეეხება საბაზრო მეთოდებს, სწორედ მათი წყალობით მუშაობს ეკონომიკური ბირთვის ეფექტი, როგორც წესი, დროის შედარებით ხანგრძლივი შუალედის შემდეგ (მაგალითად, ინგლისში კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პერიოდში) და ხელსაყრელი გარე პირობების დროს, მათ შორის მსხვილი საზღვარგარეთული ინვესტიციების არსებობისას. მაგრამ, თუ არ არის დრო და შესაბამისი პირობები, აუცილებელია მკაცრი სახელმწიფო რეგულირება (საუბარია ეკონომიკის რეგულირების საბაზრო და სახელმწიფო მეთოდების ოპტიმალურ თანაფარდობაზე, სადაც ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი ნაწილია). ბირთვის საფუძველზე ჩამოყალიბებული რეგიონის მართვის საორგანიზაციო-ეკონომიკური მექანიზმი მოიცავს შემდეგ საბაზო ელემეტებს: რესურსებს (ფინანსურს, მატერიალურს, შრომით), მართვის სუბიექტსა და ობიექტს, აგრეთვე მართვის ტექნოლოგიას. ბირთვის მართვის ფუნქციის რეალიზებით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დავადგინოთ იმ რესურსების მოცულობა, რომლებიც აუცილებელია რეგიონის პრიორიტეტული დარგების ასამოქმედებლად და იმ საშუალებათა ზომა, რომლებიც უნდა მივმართოთ რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში მისი პოტენციალის უფრო სრულად გამოყენებისას.

ეკონომიკური ბირთვი შეიძლება და უნდა განვიხილოთ სხვადასხვა რაკურსით და სხვადასხვა დონეზე, რის გამოც აუცილებელია მისი ოპტიმალური ვარიანტის შესარჩევად ძიება. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული მეთოდების და მაჩვენებლების შერჩევას, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება მისი ელემენტების შერჩევა. მაგალითად, სტრუქტურული ციკლების გამოსაკვლევად, რომელთა ანალიზი მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების მონიტორინგის დროს, ერთ-ერთი მეცნიერი (ლ.ა. დედოვი)[3] იყენებს გამოშვების სტრუქტურული ელასტიკურობის ცნებას: $E = n_1/n_2$ სადაც n_1 – ზრდის ნორმის კონსერვატიული (ინერციული) კომპონენტია, ხოლო n_2 – რეკონსტრუქციული (სტრუქტურული). „სტრუქტურული ელასტიკურობის“ ტერმინის გამოყენება E მაჩვენებლისთვის გამართლებულია შემდეგი მიზეზებით: სიდიდეები და გამოსაკვლევი აგრეგატის შედარებითი ნამატია, რაც მნიშვნელოვანია მაჩვენებლის როგორც ელასტიკურობის განსაზღვრისთვის, ვინაიდან ელასტიკურობა რაოდენობრივად წარმოადგენს ასეთი ნამატების თანა-

ფარდობას; -c და-c ითვალისწინებს სამეურნეო სისტემების პროცესებში მომხდარ სტრუქტურულ თავისებურებებს.

ეს ცნება მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ეკონომიკური ბირთვის ელემენტთა ფორმირების პრობლემების გადაწყვეტისას. შესაძლებელია მისი შემდეგი ვარიანტები (ფაზები).

1. სტრუქტურული ელასტიკურობა დადებითია: გამოშვების ტრადიციული სტრუქტურების ზრდა ივსება სტრუქტურული ცვლილებების საფუძველზე, ანუ და. როცა 0 სტრუქტურული ციკლის შესაბამის ფაზას შეიძლება ეწოდოს შემვსები განვითარების ფაზა.

2. თუკი ეკონომიკური სტრუქტურის მატარებელი კარკასი ექვემდებარება გარდაქმნებს, რომლებიც თავდაპირველად საკმაოდ ზომიერია ეკონომიკური პროცესების ინერციულობის გამო, მაშინ ზრდა ტრადიციულ საფუძველზე ნელდება (), მაგრამ ნარჩუნდება ზრდა სტრუქტურული ცვლილებების ბაზაზე (n2), ამასთან ეს ხდება ისე, რომ , და ამიტომ ხდება გამოშვების ზრდა. მაშინ .

ასეთი სიტუაცია ახასიათებს მაკომპენსირებელი შეცვლის ფაზას, ე.ი. კომპონენტ ხარჯზე ზრდა აკომპენსირებს და ცვლის დაცემას კომპონენტ საფუძველზე, რაც განპირობებულია სტრუქტურული ძვრების მიზნობრივი დანიშნულებით – მათ საფუძველზე ზრდა უნდა აფართოებდეს სამეურნეო სისტემის საწარმოო შესაძლებლობებს. ამის მოხერხება თავდაპირველად შესაძლებელია, თუმცა ტრადიციული საწარმოო შესაძლებლობების ხშირი დაცემა იძენს კოლაფსურ ფორმას და მაშინ სისტემები გადადის მე-3 ფაზაში.

3. გამოშვების ტრადიციული სტრუქტურის კარდინალური გარდაქმნისას დაცემა მის საფუძველზე წყვეტს კომპენსირებას ერთდროული ზრდით რეკონსტრუქციული შემადგენლების ბაზაზე, რაც დაკავშირებულია სტრუქტურული გარდაქმნების ეფექტის დაგვიანებასა და ხშირად მისი საერთო უკმარისობით დესტრუქციის მასშტაბებთან შედარებით. ხდება და – 1. ეს არის არაკომპენსირებული შეცვლის სიტუაცია.

4. მე-4 ფაზაში ნახსენები ფაქტორები ვლინდება ყველაზე მკაფიოდ, რის გამოც შეინიშნება წარმოების საერთო დაცემა: და. ეკონომიკური ზრდის ფაზების წარმოდგენილი კლასიფიკაციის საფუძველზე ყოველ მოცემულ პერიოდში ანალიზის ობიექტები – დარგები, სასაქონლო ჯგუფები იყოფა კლასტერებად – ობიექტების ერთობლიობაზე, რომლებიც მსგავსია დინამიკის თვისებებით. პირველ კლატერში ხვდება ობიექტთა სიმრავლე, რომელთათვისაც როცა . არსებულ პირობებში პირველი კლასტერის ობიექტები მთლიანობაში წარმატებულად ვითარდება. მეორე კლასტერის ობიექტებისთვის 0 . ეს ობიექტები ახორციელებს გამოშვების რეკონსტრუქციას უფრო გამოხატული ზრდის მიზნით. მესამე კლასტერის ობიექტებისთვის . ეს სუსტად დეპრესიული ობიექტებია. მეოთხე კლასტერში შედის ობიექტები, რომლებიც აკმაყოფილებს პირობას და .ამ კლასტერის ობიექტები მიეკუთვნება ძლიერ დეპრესირებულთ.

ეკონომიკური ბირთვის ელემენტების შერჩევის პროცესში შესაძლებელია ამ ხერხის გამოყენება, ვინაიდან სტრუქტურული ელასტიკურობა საშუალებას იძლევა, გამოვავლინოთ წარმოებათა სახეები და დარგები, რომლებიც მთლიანობაში მნიშვნელოვნად მოქმედებს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარებაზე, ამიტომ ბირთვში შედის პირველი და მეორე კლასტერის ელემენტები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბირთვში შედის შემდეგი სასაქონლო ჯგუფები: სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა; არასამხედრო დანიშნულების იარაღი; სპეციალური ხარისხის შავი ლითონები და ნაგლინი; ფერადი და იშვიათი ლითონები, მათგან ნაგლინი; ხანგრძლივი მოხმარების საგნების ზოგიერთი სახე (სარეცხი მანქანები, საყოფაცხოვრებო კომპიუტერები და ა.შ.); კოსმოსური კავშირგაბმულობის საშუალებები; მსუბუქი ავტომობილები; ნავთობი; ქიმიური და ქაღალდის წარმოების მოწყობილობა; ხე-ტყე და სახერხი მასალა; საშენი მასალა.

ამის მსგავსად შეგვიძლია განვსაზღვროთ ეკონომიკური ბირთვის ელემენტთა შემადგენლობა ნებისმიერი რეგიონისთვის. თუკი, ამავე დროს, კიდევ გავითვალისწინებთ ბუნებისდამცავი ღონისძიებების რეალიზაციაზე დანახარჯებს, მაშინ შევძლებთ გამოვყოთ ეკოლოგიურ-ეკონომიკური ბირთვი.